

ტრავმაზე ფოკუსირებული კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპიის
ეფექტურობის შესწავლა ქართულ პოპულაციაში

მაია ზაიაძე, შორენა ზედგინიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქიკური ჯანმრთელობის (ფსიქოტრავმატოლოგიის)
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფსიქიკური ჯანმრთელობა (ფსიქოტრავმატოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ფილაური, მაგისტრის ხარისხი ფსიქოლოგიაში

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენ ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მაია ბაიაძე, შორენა ზედგინიძე, 22.06.2018 წელი.

აბსტრაქტი

უკანასკნელი წლების განმავლობაში საკმაოდ განვითარდა და დაიხვეწა მტკიცებულებებზე დაფუძნებული ფსიქოთერაპიული მიდგომები, რომლებიც პოსტტრავმულ სტრესულ აშლილობასთან და მის თანმხლებ კომორბიდულ აშლილობებთან წარმატებულად მუშაობს. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ტარდება არაერთი კვლევა, რომელიც მიმართულია მტკიცებულებებზე დაფუძნებული ფსიქოთერაპიების ეფექტურობის შეფასებაზე.

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს ERASMUS+ პროგრამის ფარგლებში კარდიფის (გართიანებული სამეფო) უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქიკური ჯანმრთელობის რესურს ცენტრის ბაზაზე შემუშავებული ტრავმაზე ფოკუსირებული კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპიის მოდულის 2017 წელს განხორციელებული ეფექტურობის კვლევის მეორე ფაზის შედეგების ანალიზი.

კვლევა შედგება, როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი ნაწილისგან. რაოდენობრივი კვლევისთვის გამოყენებულ იქნა 6 ინსტრუმენტი: ცხოვრებისეული გამოცდილების ჩამონათვალი (LEC-5) კლიენტების შერჩევისას; პოსტტრავმული სტრესული აშლილობის საკვლევი ინსტრუმენტი (PCL-5) კლიენტების შერჩევის პირველ საფეხურზე, ინტერვენციის პროცესში და თერაპიის დასრულების შემდეგ; ემოციური რეგულაციის კითხვარი (ERQ), დეპრესიის ხარისხის საზომი კითხვარი (PHQ-9), შფოთვის ხარისხის შესაფასებელი კითხვარი (GAD-7) და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის შესაძლებლობების ფუნქციური შეზღუდვის კითხვარი (WHODAS-2.0) შერჩევის მეორე საფეხურზე და თერაპიის დასრულების შემდეგ. მონაცემების სტატისტიკური დამუშავებისას გამოყენებულ იქნა LOCF - უკანასკნელი დაკვირვების “ახალ ანგარიშზე” გადატანის მეთოდი.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა ფოკუს-ჯგუფი თერაპევტებთან, ასევე გაანალიზებულ იქნა წერილობითი დოკუმენტები- ანალიტიკური ესსეები.

კლიენტების შერჩევა განხორციელდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსის” დახმარებით, 14 კლიენტი (13 ქალი (92.9%) და 1 მამაკაცი (7.1.%)), საშუალო ასაკი 23.08 (SD - 3.68). მინ. ასაკი 19, მაქს. ასაკი 33.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ფსიქიკური ჯანმრთელობის (ფსიქოტრავმატოლოგიის) სამაგისტრო პროგრამის 12-მა ტრენირებულმა თერაპევტმა.

კვლევის შედეგად მიღებულმა რაოდენობრივმა მონაცემებმა გვაჩვენა, რომ ტრავმაზე ფოკუსირებული კოგნიტურ-ბიჰევიორული ფსიქოთერაპიის შედეგად ტრავმასთან დაკავშირებული სიმპტომები მცირდება და ჩარევა ეფექტურია.

ინტერვენციის ეფექტიანობის შეფასებისა და მეტი მეცნიერული მტკიცებულების მოპოვების მიზნით რეკომენდირებულია კვლევის რეპლიკაცია ნაშრომში აღწერილი კვლევის შეზღუდვების გათვალისწინებით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ტრავმაზე ფოკუსირებული კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპია, პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობა, პროტოკოლი, მტკიცებულებაზე დაფუძნებული თერაპია.

Abstract

Over the past few years, the evidence-based psychotherapeutic approaches have been considerably developed and fine-tuned, which work very well with Post Traumatic Stress Disorder and accompanying comorbid disorders. A number of studies are being conducted in numeral countries around the world targeting the efficiency assessment of evidence based psychotherapies.

The idea of the proposed study presents, in the framework of ERASMUS+ program and within the partnership of Medical School of Cardiff (UK) and Mental Health Resource Center of the

Ilia State University, joint elaborated analysis of the second phase results of the efficiency study, conducted by Trauma Focused Cognitive-Behavioral Therapy Module, in 2017.

The study includes both quantitative and qualitative sections. Following 6 research tools were used for quantitative research: LEC-5 The Life Events Checklist for DSM-5 used only for participant selection process and Post Traumatic Stress Disorder screening instrument - PCL-5 The PTSD Checklist for DSM-5, as the first stage of participant selection process, during the intervention process prior and following each therapeutic session. On the second stage of selection process and after the therapy completion ERQ - The Emotion Regulation Questionnaire, PHQ-9 Patient Depression Questionnaire, GAD-7 Generalized Anxiety Disorder Assessment and WHODAS-2.0 World Health Organization Disability Assessment Schedule are used. During the statistical processing of data LOCF test was conducted via the last observation shifting to the "new account" method.

Within the framework of qualitative study the focus group interviews were carried out with therapists, as well as written documents-analytical essays were analyzed.

The selection process of participants were carried out with the help of electronic system "ARGUSI" of the ilia state university, 14 clients (13 women (92.9%) and 1 man (7.1.%)), Their average age was 23.08 (SD - 3.68). The minimum age 19, the maximum age 33. In total, 12 trained therapists of the Mental Health (psychotraumatology) Master's degree program of the Sciences and Arts Faculty of the Ilia State University participated in the study.

The quantitative data obtained by the study showed that, as a result of trauma focused Cognitive Behavioral Psychotherapy the symptoms associated with trauma are reduced and the intervention is effective.

In order to assess the effectiveness of the intervention and to obtain more scientific evidence, it is recommended to continue the study by considering the restriction factors highlighted in the work.

Key words: Trauma Focused Cognitive-Behavioral Therapy, Post Traumatic Stress Disorder, Treatment Manual, Evidence-based Psychotherapeutic Approaches.

მადლობა

მადლობას ვუხდით მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ფსიქიკური ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებს და ლექტორებს, ქალბატონ ნინო მახაშვილსა და ქალბატონ დარეჯან ჯავახიშვილს, მოცემული ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ქალბატონ ქეთევან ფილაურს, ჩვენ ლექტორებს და ფსიქიკური ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამის ყველა მაგისტრს, რომელმაც მიიღო კვლევაში მონაწილეობა.